

სამოქალაქო სამართლის უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა კომპიუტერული მართვის სისტემის დამუშავება

თეიმურაზ სუხიაშვილი, ბექარ ხვედელიძე, ირაკლი შურღაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების ავტომატიზაცია თანამედროვე ეტაპზე აყენებს კომპიუტერული მართვის სისტემების შექმნის ამოცანას, რომელიც განკუთვნილ იქნება მრავალ-მიზნიანი რთული ობიექტების მართვისათვის. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ორგანიზაციული სისტემები, როგორცაა სასამართლო სისტემა. სასამართლო საქმის წარმოების სწორად წარმართვა ორგანიზაციული საქმიანობის, პროცესუალური ნორმების დაცვის, სასამართლო საქმეთა დროული განხილვის, მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი გარანტიაა. კვლევის სიმბიძის ცენტრის აღნიშნულ პრობლემაზე გადატანა გამოწვეულია მართვის ტრადიციული მეთოდების, მოდელირების ენების და მოდელების მეშვეობით გადაწყვეტილებათა ძებნის მეთოდების განვითარებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას წარმოიშობა სიძნელეები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია მართვის ობიექტის ადეკვატური მოდელის აგებასთან. სტატიაში განხილულია სამოქალაქო სამართალწარმოების მართვის კომპიუტერული სისტემის დამუშავების პროცესი, პრობლემები და გადაჭრის საშუალებები რაციონალური უნიფიცირებული პროცესის (RUP) საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო სამართალწარმოება. უდავო წარმოება. კომპიუტერული სისტემა. დაპროექტება. მოდელირება. უნიფიცირებული ენა.

1. შესავალი


სისტემის დამუშავება იწყება არსებული სისტემის შესწავლით. ხშირად ნებისმიერი მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისას არსებით ყურადღებას აქცევენ უკვე მოქმედ მსგავს ავტომატიზებულ სისტემას. თუ გავითვალისწინებთ მაღალგანვითარებული სახელმწიფოების მაგალითს, სადაც დიდი პერიოდია რაც მიმდინარეობს სასამართლოების ავტომატიზაცია, სრულყოფილი მართვის ავტომატიზებული სისტემა მაინც არ არის შექმნილი. ამასთან ერთად, დამუშავებული სამამულო სისტემები არ არის სრულად რეალიზებული და ძირითადად ეხება სასარჩელო წესით განსახილველ საქმეებს.

სასამართლო იხილავს ადამიანის უფლებათა ხელყოფის ნებისმიერ ფაქტს, რომელიც შეტანილია განცხადების (საჩივრის) სახით. განსახილველი საქმეები იყოფა კატეგორიებად - სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული. მოყვანილი კატეგორიებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოებას, რომელთა წვლილი სასამართლოებში განსახილველ ყველა საქმეებში დაახლოებით 60%-ს შეადგენს.

სამოქალაქო საქმეთა წარმოება მოიცავს გარკვეულ ეტაპებს (ნახ.1), რომელიც საერთოა სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა კატეგორიისათვის. მხოლოდ, სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში არ არის მოპასუხე მხარე, შესაბამისად მოსამართლის განსახორციელებელი ღონიერებებიდან გამოირიცხება მოპასუხესთან დაკავშირებული მოქმედებები. სამაგიეროდ მკვეთრად მატულობს კლიენტის მიერ მოთხოვნის მტკიცებულებების შემოწმებისა და სისწორის დადგენის პროცედურები.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

- იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;



ნახ.1.

- მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილიდ გამოცხადების შესახებ;
- მოქალაქის ქმელუნაროდ და შეზღუდულ ქმელუნარიანად აღიარების შესახებ;
- დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ გამოწვევითი წარმოება;
- ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ;
- შვილად აყვანის შესახებ.

თვითეული მოყვანილი საქმის წარმოების წესები მოყვანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იხილება ავტონომიური რესპუბლიკის ან საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა სააპელაციო პალატაში, რომელიც სააპელაციო სასამართლოა. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სააპელაციო სასამართლოში აძლიერებს პირველი ინსტანციის სასამართლოთა პასუხისმგებლობას, რადგან მათი გადაწყვეტილებები შეიძლება შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიულად.

საქმის წარმოების ეტაპების თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოება ბევრად არ განსხვავდება პირველი ინსტანციისაგან. არსებული განსხვავება განპირობებულია სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებით, რომელიც შემოიფარგლება სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოთხოვნებით. შესაბამისად ამისა, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს აპელანტის საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში.

სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იხილება უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების პალატაში, რომელიც საკასაციო სასამართლოა და შესაბამისად არის საბოლოო ინსტანცია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სააპელაციო სასამართლოს ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება ან განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით, ამ საჩივრის შესახებ საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება საბოლოოა, ის დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

საკასაციო სასამართლოს უმთავრესი ამოცანაა შეამოწმოს საქმის იურიდიული მხარე, ის თუ რამდენად სწორადაა შეფარდებული სასამართლოს ნორმა, რამდენად სწორადაა გაგებული ამ ნორმის კანონის აზრი და შინაარსი, რომელიც გამოიყენა სასამართლომ.

სასამართლო სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების სისტემების შესწავლისა და ჩატარებული ანალიზით დადგინდა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში:

- ამჟამად სასამართლოები გადატვირთულია ინფორმაციით საქალაქო დონეებში, ყურნალებში, ბარათებში და ა.შ. საქმის განყოფილებიდან განყოფილებაში, ერთი პროცესიდან მეორე პროცესში მოძრაობა მთლიანად აკავებს სასამართლო პერსონალს.

- ოპერატიული მონაცემების უქონლობის გამო ხელმძღვანელობისათვის შეუძლებელია საქმის მიმოქცევაში დაბრკოლებების დროულად დადგენა და რაიმე გადაწყვეტილების მიღება მის აღმოსაფხვრელად.

- ისედაც დატვირთული აპარატის მუშაკები ცდილობენ უპასუხონ ყოველ ახალ დამატებით მოთხოვნილებას. რის გამოც უხდებათ უფრო მეტი ჩანაწერების, ყურნალების და ბარათების წარმოება. ასეთ პირობებში საჭირო ინფორმაციის მოძებნა ხდება საკმაოდ შრომატევადი.

- საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, საზოგადოებას მზარდი მოთხოვნილება აქვთ სასამართლო ინფორმაციისადმი. სასამართლოთა უმეტესობას უბრალოდ არ ძალუძთ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილება.

- საქმეთა არათანაბარი განაწილება ართულებს საქმეთა მოძრაობის მართვის პროცესს. საქმეები არ ნაწილდება მათი სირთულისა და ინდივიდუალური მოთხოვნების მიხედვით, შესაბამისად პერსონალი არათანაბრად დასაქმებული. პროცესების ნელი ტემპის გამო იზრდება საზოგადოებრივი უკმაყოფილება.

- ყოველდღიურ საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს უპირატესობა ენიჭებათ

ანგარიშგებასთან შედარებით. შესაბამისად, ანალიზისა და სტატისტიკის წარმოება იგვიანებს, ხდება არასრული და არაადეკვატური.

ჩამოთვლილი პრობლემები განაპირობებენ ძირითად ნაკლოვანებებს სამოქალაქო სამართლის უდავო საქმეთა წარმოებაში:

- საქმის განხილვის დროის გადაჭარბება;
- განუხილველი საქმეების დიდი რაოდენობა.

საქმის განხილვის პროცესის გაუმჯობესება, განხილვის დროის გადაჭარბების აღმოფხვრა და განუხილველი საქმეების შემცირების აუცილებლობა წარმოქმნის სასამართლო სისტემის ავტომატიზაციის საჭიროებას. ტექნოლოგიურ განახლებას შეუძლია მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინოს სასამართლოს საქმიანობაზე.

იმისათვის რომ სამართლებრივმა სისტემამ სათანადოდ უპასუხოს საზოგადოების მზარდ მოთხოვნებს, უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, დღის წესრიგში დადგა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხი. სასამართლო სისტემაში განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენება მთელ რიგ უპირატესობებსა და ამავე დროს პრობლემებს ქმნის. დღის წესრიგში დგება ცვლილებების აუცილებლობა როგორც მუშაობის სტილში, ასევე სასამართლო ადმინისტრირებაში.

სასამართლო სისტემის ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვაძლევს საფუძველს ჩამოვყალიბოთ მართვის სისტემების ის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ავტომატიზაციის საშუალებების შერჩევისას.

პირველ რიგში ეს მათი წარმოდგენი სტრუქტურების სირთულეა, რომლებიც შეიცავენ ელემენტებს დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის მაჩვენებლებით და შესასრულებელი ფუნქციებით, მათ შორის აქტიურებს, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ თვით მართვის სისტემაზე. აქტიური ელემენტებია ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ მოქმედების გარკვეული თავისუფლება სისტემის ფუნქციონირების ფარგლებში.

გარდა ამისა, სისტემისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დებულობს მასში შემავალ ელემენტებს შორის კავშირები. ეს კავშირები შეიძლება ატარებდეს ძალიან რთულ ხასიათს. მაგალითად, როდესაც ორ ელემენტს შორის დგინდება რამდენიმე სხვადასხვა სახის ურთიერთდამოკიდებულება. ყველა ურთიერთკავშირი ელემენტებს შორის შეიძლება დავყოთ ორ დიდ კლასად – ეს არის ინფორმაციული და მმართველი კავშირები.

სისტემების არსებით მხარეს წარმოადგენს მათი დინამიკურობა, ევოლუციური განვითარება. დროთა განმავლობაში იცვლება თვით ობიექტის სტრუქტურა, მისი შემცველი ელემენტების ფუნქციები. ევოლუციური განვითარება ერთის მხრივ დაკავშირებულია სისტემის გარეთ მომხდარ ცვლილებებთან, გაუთვალისწინებელი აღშფოთებითი ზემოქმედებით, ხოლო მეორეს მხრივ – შინაგანი თვითორგანიზაციით და სრულყოფით. ამ განვითარების შესაბამისად უნდა იცვლებოდეს მისი მოდელიც. სისტემის ფუნქციონირება უნდა განიხილებოდეს როგორც დროში ცვალებადი ფორმალური მოდელების თანმიმდევრობა.

თანამედროვე მართვის თეორიაში ამჟამად არსებობს მრავალი მოდელი, რომლებიც აღწერს საპრობლემო სფეროს სხვადასხვა ინსტრუმენტული საშუალებით. ნებისმიერი შეიძლება მეტნაკლებად მოერგოს დასამუშავებელ სისტემას, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი გავლენას ახდენს ავტომატიზებული სისტემის საბოლოო სახეზე და გასათვალისწინებელია, თუ რამდენად დააკმაყოფილებს იგი მომხმარებელს.

სასამართლო სისტემის მოდელირებისას, მის ცალკეულ შემადგენელ ელემენტებს შორის რთული სემანტიკური კავშირების არსებობის გამო, მათი სრულყოფილი ასახვისათვის მიზანშეწონილია რამდენიმე მოდელის შექმნა, რომელიც აღწერს საპრობლემო სფეროს სხვადასხვა

ხედვით და აბსტრაქციით. მოდელები შეიძლება შეიქმნას და შესწავლილ იქნან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ამასთან ერთად ისინი რჩება ურთიერთდაკავშირებულნი.

ასეთი მიდგომა სავსებით მისაღებია ობიექტ-ორიენტირებული სისტემებისათვის. ობიექტ-ორიენტირებული მიდგომა პროგრამული უზრუნველყოფის დასამუშავებლად ამჟამად ყველაზე აქტუალურია, რადგან მან დაანახა სისტემოტექნიკოსებს თავისი სარგებლიანობა ნებისმიერი განზომილებისა და სირთულის სისტემების აგებისას სხვადასხვა სფეროებში. გარდა ამისა თანამედროვე დაპროგრამების ენების უმრავლესობა, ინსტრუმენტული საშუალებები და ოპერაციული სისტემები წარმოადგენენ, ამა თუ იმ ზომით, ობიექტ-ორიენტირებულს.

თუ ჩვენ მივიღებთ ობიექტ-ორიენტირებულ მიდგომას, მაშინ უნდა განისაზღვროს როგორი სტრუქტურა უნდა გააჩნდეს ავტომატიზებულ სისტემას ობიექტ-ორიენტირებული არქიტექტურიდან.

სისტემის არქიტექტურა მოიცავს არა მარტო მის სტრუქტურულ და ქცევით ასპექტებს, არამედ გამოყენებას, ფუნქციონირებას, წარმადობას, მოქნილობას, ეკონომიურ და ტექნოლოგიურ შეზღუდვებს და კომპრომიზებს, ასევე ესთეტიკურ საკითხებს [1].

2. ძირითადი ნაწილი

ობიექტ-ორიენტირებული მიდგომით პროგრამული სისტემის დამუშავება ხორციელდება მოდელირების უნიფიცირებული ენის(UML) გამოყენებით. UML – ესაა პროგრამული მოდელების სპეციფიკაციის, კონსტრუირების, ვიზუალიზირებისა და დოკუმენტირების ენა და აღნიშნათა სისტემა.

კომპიუტერული სისტემის დამუშავება დადგენილ ვადებში მოითხოვს მოწესრიგებულ მიდგომას იმასთან, თუ როგორ უნდა განაწილდნენ სამუშაოები და პასუხისმგებლობები ორგანიზაციაში, რომელიც დაკავებულია წარმოების პროცესით. პროცესს უწოდებენ ბიჯების ნაწილობრივად მოწესრიგებულ სიმრავლეს, რომლებიც მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. დამუშავების არსებული მეთოდებიდან საუკეთესოდ მიჩნეულია რაციონალური უნიფიცირებული პროცესი(RUP), რომელიც ყველაზე კარგად არის მისადაგებული UML ტექნოლოგიასთან და შესაძლებელია ადაპტირებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულების პროექტების ორგანიზებისათვის.

რაციონალური უნიფიცირებული პროცესით არსებობს ხუთი ურთიერთშეკვებადი სახე, ან წარმოდგენა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისტემის არქიტექტურის ვიზუალირების, სპეციფიცირების, კონსტრუირების და დოკუმენტირებისათვის. ეს წარმოდგენებია პრეცედენტების, პროექტირების, პროცესების, რეალიზაციის და განლაგების თვალთახედვით. ყოველი მათგანი ითვალისწინებს სტრუქტურულ და ქცევით მოდელირებას, ესე იგი სტატიკური და დინამიკური არსებების მოდელირებას. ერთობლიობაში ეს სახეობები საშუალებას იძლევიან გადავცეთ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სისტემას მთლიანობაში, ხოლო ცალკე თითოეული ყურადღებას ამახვილებს ერთ ასპექტზე, რომლის განხილვა ამ სახით მარტივდება.

იმისათვის, რომ გამოვსახოთ სისტემა რომელიმე თვალთახედვით გამოიყენება დიაგრამები, რომელთა კომბინირება შესაძლებელია საჭირო წარმოდგენის მისაღებათ. ამასთან, დიაგრამების დამუშავება ხორციელდება ინკრემენტულად (უმატებთ რა თითო ახალ ფრაგმენტს ყოველ ერთ ჯერზე) და იტერაციულად (ვიმეორებთ რა პროექტირების პროცესს ყოველი ახალი გაუმჯობესების შემდეგ).

სისტემის მოდელირებისას სხვადასხვა თვალთახედვით, ფაქტიურად ხდება მისი კონსტრუირება რამდენიმე განზომილებაში. წარმოდგენის ერთობლიობის სწორი არჩევა საშუალებას მოგვცემს უფრო სწორად განვსაზღვროთ სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, გამოვავლინოთ რისკი, რომელიც უნდა გათვალისწინებულ იქნას. თუ სახეები

არჩეულია ცუდად ან ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ერთზე სხვების მხედველობაში მიუღებლად, მაშინ იზრდება საშიშროება - ვერ შევნიშნოთ ისეთი საკითხები, რომელთა გაუთვალისწინებლობა, ადრე თუ გვიან, მთელ პროექტს დააყენებს საშიშროების წინაშე.

სისტემის მოდელირება სხვადასხვა წარმოდგენების საფუძველზე მოითხოვს ორი ამოცანის გადაწყვეტას:

- პირველ რიგში უნდა დადგინდეს წარმოდგენის რომელი სახეობები გამოხატავს ყველაზე უკეთესად სისტემის არქიტექტურას;

- მეორე - ყოველი ამორჩეული სახეობის მიმართ განისაზღვროს, რომელი მოდელებია საჭირო მისი ყველაზე არსებითი დეტალების გამოსახვისათვის.

სასამართლო სისტემის იერარქიული სტრუქტურა და ტერიტორიული განცალკევება, მართვის ოპერატიულობის გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე, მათი ავტომატიზაციისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას კომპიუტერული ქსელი, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება კავშირი როგორც ცალკეულ ქვესისტემებს შორის, ისე თითოეული ქვესისტემის შიგნით.

სამოქალაქო სამართალწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეულ მომხმარებელს უნდა გააჩნდეს საკუთარი სამუშაო ადგილი. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება კომპიუტერული ქსელის ორგანიზება განაწილებული კონფიგურაციით, რომელშიც ცალკეული სამუშაო ადგილები (კლიენტები) განთავსდება ლოკალურ კომპიუტერებზე და შეერთებული იქნება ცენტრალურ კომპიუტერთან (სერვერთან) ან სხვა კლიენტ-ლოკალურ კომპიუტერთან.

განაწილებულ სისტემებში პროგრამული კომპონენტების ოპტიმალური განაწილებისათვის ქსელში გამოყენებულ უნდა იქნას კლიენტ – სერვერული არქიტექტურა. ამრიგად, სამოქალაქო სამართალწარმოების სისტემის ავტომატიზაცია მოითხოვს კონფიგურაციას არქიტექტურით „კლიენტი-სერვერი“, განაწილებული სამუშაო ადგილებით.

ასეთი რთული განაწილებული სისტემების მოდელირებისას, უნდა გამოვიყენოთ არსებული ხუთივე წარმოდგენა. ისინი საშუალებას მოგვცემენ გამოვხატოთ მისი არქიტექტურა და პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური რისკი.

3. დასკვნა

როგორც საკვლევი ობიექტის, სამდონიანი სასამართლო სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, მისი განაწილებული მართვის კომპიუტერული სისტემა მიეკუთვნება დიდი და რთული სისტემების კლასს, როგორც დაპროექტების, ასევე მისი პროგრამული რეალიზაციისა და ექსპლუატაციის თვალსაზრისით. ამოცანა მდგომარეობს ერთის მხრივ, თითოეული წარმოდგენისათვის იმ მოდელების დამუშავებაში, რომლითაც საშუალება გვქვია სრულად ავსახოთ საავტომატიზაციო ობიექტი, მეორეს მხრივ, კომპლექსური კრიტერიუმების ერთობლიობის გამოვლენაში, რომელიც მოდელირების ცალკეული ეტაპების ოპტიმიზაციას ემსახურება.

ლიტერატურა:

1. Арлоу Дж., Нейштадт А. (2008). UML/2 и Унифицированный процесс. 2-е изд., Практический объектно-ориентированный анализ и проектирование, Санкт-Петербург - Москва.

2. სუხიაშვილი თ. (2003). სასამართლო სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ავტომატიზაცია. ტექნიკური დავალება. საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტი. თბილისი.

3. სუხიაშვილი თ. (2005). ავტომატიზებული მართვის თეორიული საფუძვლები. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. (2002). „სამართალი“. თბილისი. მეოთხე გამოცემა.

**DEVELOPMENT OF A COMPUTER CONTROL SYSTEM OF THE CONSIDERED
CASES FOR A BEZISKOVY TYPE OF CIVIL LAW**

Sukhiashvili Teimuraz, Khvedelidze Beka, Shurgaia Irakli
Georgian Technical University

Summary

Automation of decision-making processes at the present stage sets a task of creation of the computer systems intended for management of multi-purpose difficult objects. Transferring of the center of gravity of researches on this problem is caused by development of the traditional principles of management, languages of modeling of the operated objects and methods of search of decisions by means of models. Despite it, at the solution of the specified problem there are difficulties connected with creation of adequate model of object of management. Special difficulty is presented by organizational systems what the judicial system is. Correct production of lawsuits considerable guarantee of organizational actions, protection of a legal procedure, timely consideration of lawsuits. In article process of development of computer system of civil office-work, a problem and means of their decision on the basis of the rational unified process (RUP) is considered.

**РАЗРАБОТКА КОМПЬЮТЕРНОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ РАССМАТРИВАЕМЫХ
ДЕЛ БЕЗИСКОВОГО ВИДА ГРАЖДАНСКОГО ПРАВА**

Сухиашвили Т., Хведелидзе Б., Шургая И

Грузинский Технический Университет

Резюме

Автоматизация процессов принятия решений на современном этапе ставит задачу создания компьютерных систем, предназначенных для управления многоцелевыми сложными объектами. Перенесение центра тяжести исследований на данную проблему вызвано развитием традиционных принципов управления, языков моделирования управляемых объектов и методов поиска решений с помощью моделей. Несмотря на это, при решении указанной проблемы возникают трудности, связанные с построением адекватной модели объекта управления. Особую трудность представляют организационные системы, каким является судебная система. Правильное производство судебных дел значительная гарантия организационных мероприятий, защиты процессуальных норм, своевременного рассмотрения судебных дел. В статье рассматривается процесс разработки компьютерной системы гражданского делопроизводства, проблемы и средства их решения на основе рационального унифицированного процесса (RUP).